[illegible] პარასკევი, 29 აგვისტო 1919 წ. [illegible] № 193

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 38 [illegible] ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფა[illegible]სი როგორც პირველ გვერ[illegible] პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

აუწერელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მიხეილ ზაალის ძე ასკურავა, შვილები: მარო წილოსანისა (შვილებით), ელენა, ვანო და რძალი ფლორა ლომთათიძის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელისაბედ ნიკოლოზის ასულის ასკურავას

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის ტირილი და ორმოცი დღის წირვა-პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, 30 აგვისტოს (ახალი სტილით), დღის 12 საათზე ქ. ლანჩხუთში. (2—1)

ახალი წიგნი—იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

გალაკტიონ ტაბიძე:

ლექსები

ტომი მეორე (1914—1919)

მსურველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზ. „ერთობა“.

წიგნის ფასი 25 მან.

## ფრონტის პროლეტარული დღე

პროფესიონალურ კავშირების ინიციატივით მომავალ კვირას, 31 აგვისტოს, საქართველოს მუშათა კლასმა უნდა გადაიხადოს ფრონტის დღე: ამ დღეს ყველა დარგის მუშებმა ხელი უნდა აიღონ ჩვეულებრივ საკვირაო დასვენებაზე და მთელი დღის სამუშაო ქირა ფრონტის ფონდის სასარგებლოთ გადასდონ.

„ფრონტის პროლეტარული დღის“ მთავარი მნიშვნელობა მდგომარეობს, რა თქმა უნდა, არა იმაში, რომ პროლეტარიატი ნივთიერ დახმარებას გაუწევს მეომრებს.

31 აგვისტო უპირველეს ყოვლისა იქნება დემონსტრაცია, დემონსტრაცია ჩვენი მუშათა კლასის და ჩვენი რევოლიუციური ფრონტების ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირისა. ამ დღეს ჩვენი პროლეტარიატი დაამტკიცებს, როგორც ჩვენი ქვეყნის, აგრეთვე ჩვენი გარეშე მტერ-მოყვრის წინაშე, რომ ის საქმე, რომელსაც ფრონტზე იარაღით ხელში იცავენ ჩვენი მეომრები, მისი—მუშათა კლასის—საქმეა, რომ მას საკმაო შეგნება, ორგანიზაციული ძალა და ერთსულოვნება შესწევს მტრის წინაშე და ყოველ წუთში მზათაა აქტიური დახმარება გაუწიოს ფრონტზე მყოფ ამხანაგებს.

მუშების მანქანებთან და ღაზგებთან დგომა კვირა დღეს სიმბოლიური გამოხატულება იქნება აგრეთვე იმისაც, რომ საქართველოს პროლეტარიატი, როდესაც ამას მოითხოვს ქვეყნის და რევოლიუციის ინტერესი, თავდაცვის საქმეს მხარს დაუჭერს თავისი უძლიერესი იარაღით—მუშა მარჯვენით, რომ მტრის თავდასხმის და ფრონტზე ბრძოლის გაჩაღების დროს ის თავის ბუნებრივსა და კანონიერ დასვენებასაც კი დასთმობს და ქვეყნის მთავარ საფუძველს—შრომას გააორკეცებს, რათა იარაღით ხელში მებრძოლთ გაუადვილოს თავისუფლებისა და რევოლიუციისათვის ბრძოლა.

31 აგვისტო იქნება უპირველესათ პოლიტიკური დემონსტრაციის დღე და უნდა ითქვას, რომ „ფრონტის პროლეტარული დღის“ ინიციატორებს აურჩევიათ საუკეთესო, ჩვენი ეხლანდელი პირობების შესაფერი ფორმა პოლიტიკურ დემონსტრაციისა.

ბრძოლისა და დემონსტრაციის ჩვეულებრივი და უძლავრესი იარაღი პროლეტარიატისთვის არის გაფიცვა. მაგრამ ფრონტისთვის სოლიდარობის გამოცხადების მიზნით რომ ჩვენ პროლეტარიატს გაფიცვა გამოეცხადებინა, ეს უაზრობა იქნებოდა. ეს ფორმა დემონსტრაციისა არამც თუ ვერ მიაღწევდა მიზანს: ის ფაქტიურათ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ამაში იყო სხვათა შორის იმ გაფიცვის სუსტი მხარე, რომელიც ბაქოს კომუნისტების ინიციატივით 14 აგვისტოს გამოცხადდა ბაქოში თითქოს დენიკინის შემოსევის საწინააღმდეგოთ. ბრძოლის საშუალება თუ მიზანთათ შეწონილი არ არის, ბრძოლა მნიშვნელობას ჰკარგავს.

31 აგვის. დემონსტრაციის ფორმა საუკეთესოთ აღწევს მიზანს, როგორც გაფიცვაში, აგრეთვე დღესასწაულის დღეს მუშაობის გაჩაღებაში ერთნაირის ენერგიით იხატება პროლეტარიატის გაერთიანებული ნებისყოფა. კიდევ მეტი. დასვენებაზე ხელის აღება, დღესასწაულის დღეს მუშაობის გატარება მეტს ორგანიზაციულ შეგნებას, უფრო მჭიდრო ორგანიზაციულ კავშირს, მეტს ერთსულოვნობას გულისხმობს, ვინემ გაფიცვის კარგათ ჩატარება. 31 აგვისტომ უნდა გამოააშკარავოს ჩვენი მუშათა ორგანიზაციების სიძლიერე, მათი ერთსულოვნობა და ჩვენი მუშათა მასის შეგნება.

ამიტომაც ყოველი დარგის მუშები განსაკუთრებულის ენერგიით უნდა მოეკიდონ „ფრონტის პროლეტარულ დღის“ კარგად ჩატარების საქმეს.

## პარტიული მუშაობა

I

შექმნილმა მდგომარეობამ ჩვენ პარტიას უმძიმესი მოვალეობა დააკისრა. ამ მოვალეობის პირნათლათ ასრულება ითხოვს მთელი ჩვენი ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების ფეხზე დაყენებას. ისტორიას არ ახსოვს ისეთი შემთხვევა, როცა სახელმწიფოს შენება და, ისიც ასეთ პირობებში, მხოლოდ და მხოლოდ ერთი პარტიის ხვედრი ყოფილიყოს. პარტია გრძნობს სიმძიმეს თავის მოვალეობისას და მთელი თავის ძალღონით ენერგიულათ ეწევა ისტორიის მიერ გამზადებულ უღელსა.

პირუთვნელი ისტორია იტყვის თუ რა ზღაპრული გმირობა გამოიჩინა ჩვენმა პარტიამ იმ წარმოუდგენელ დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც აღმართა ჟამთა მსვლელობამ ჩვენი ხალხის სავალ გზაზე. მარა ისტორია იმასაც იტყვის, რომ პარტიამ შესძლო ყოველივე ეს იმ მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციების წყალობით, რომელიც შექმნილი იყო ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის საშინელ პირობებში. პარტიის სიძლიერე ამ ორგანიზაციების და მის თავ-განწირულ მუშაობაში იყო, რომლის პირდაპირი შედეგია ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა.

სამწუხაროთ, როცა ჩვენ შევცურეთ გარემოებათა ისეთ რთულ ლაბირანტში, სადაც ბედი ქვეყნისა „ბეწვზე ჰკიდია“, პარტიის ენერგია თითქოს მოდუნდა, ორგანიზაციები თითქოს მოიშალა და პარტიული მუშაობა საგრძნობლათ შესუსტდა.

პარტიული მუშაობა სოც.-დემოკ. ორგანიზაციების უმთავრესი საკითხია. იგი ამაში ხედავს თავის სიძლიერეს, ამ გზით ქმნის მტკიცე და ძლიერ პოლიტიკურ პარტიას და ასე მისი საშუალებით აწარმოებს და ასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

თუ ოდესმე ჩვენს პარტიას და მის ორგანოებს სჭირდებოდა მუშაობა— ეს სწორეთ დღესაა. დღეს პარტიამ ათასჯერ მეტად უნდა გააცხოველოს ფართე მასაში ყოველმხრივი მუშაობა, რადგან მხოლოდ პარტიის ასეთი მუშაობა ჩაუყრის მკვიდრ საფუძველს დემოკრატიულ თავისუფლებას და მის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებას.

დემოკრატიამ რევოლიუცია იმისთვის მოახდინა, რომ მისი საშუალებით გზა გაიკაფოს იმ საბოლავო მიზნისკენ, რომელსაც იგი ეტრფის.

მარა რევოლიუციის მოხდენა უფრო ადვილია, ვინემ მის მონაპოვართა შენარჩუნება. მთავარი საქმე რევოლიუციონურ პროცესში არის მოპოებულ თავისუფლებათა შერჩენა და განმტკიცებაო—ამბობდა ვილჰ. ლიბკნეხტი. ეს კი შესაძლებელია მჭიდრო ორგანიზაციული კავშირით და კულტურული მუშაობით იმ ფართე მასაში, რომელიც დაბოლოს ამ თავისუფლების ბედის გადამწყვეტია. თუ მასსა გამოვიდა ასეთი მუშაობის გავლენისგან— შესაძლებელია ის გახდეს უსაშინელეს რეაქციონურ ძალათ და მის გარშემო ყოველივე წალეკოს.

ამ გარემოებას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და თავის მოქმედებაში ისეთი ელემენტები შეიტანეს, რომელსაც მხოლოთ შორეული კავშირი აქვს პარტიის პირდაპირ მუშაობასთან. დროა პარტიულმა ორგანიზაციებმა რადიკალურათ შესცვალონ თავის სამოქმედო გეზი და თავის უპირველეს მოვალეობათ დაისახონ პარტიული და კულტურული მუშაობის დაუყონებლივ დაწყება როგორც თავის წრეში, ისე ფართო დემოკრატიაში.

ჩვენ ვაქცევთ ჩვენი ორგანიზაციების და მოწინავე მუშების სერიოზულ ყურადღებას ამ გარემოებას და ვეძახით ყველას ასეთი მუშაობისაკენ. დაყოვნება და არსებული რუტინის კვლავ გაგრძელება წარმოუდგენელ საფრთხეს უმზადებს როგორც პარტიას, ისე ყველა იმ მონაპოვარს, რომლის მოპოებისათვის ამდენი უმანკო მსხვერპლი მიიტანა მუშათა კლასმა თავისუფლების სამსხვერპლოზე... განი.

## სალამი ქართველ მუსლიმანებს

დღეს ბათუმის ოლქში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანებისათვის—აჭარელ-ქობულეთლებისათვის—დიდი ისტორიული დღეა. დღეს შეიკრიბება აჭარისა და ქობულეთის ღირსეული შვილები და დღეს გადასწყვეტენ მათი მშვენიერი „ჯენეთის“ სადარი ქვეყნის ბედს. დღეს უნდა ითქვას სიტყვა თამამი, გაბედული, პირდაპირი, სიტყვა ყველას სასარგებლო, საოხი, ფუხარის თვალებზე კურცხლის შემშრობი. ათას ცხრაას თოთხმეტი წლიდან აჭარა-ქობულეთს არ გაუხარია, ის დაარბიეს სულთანის ჩეტნიკებმა, ის გადასწვეს, გააპარტახეს, ხანუმები გააუპატიურეს, მამაკაცები ჩამოახრჩვეს ნიკოლოზ მეორის კაზაკებმა, მისი მოწამეა ხიჭაური.

კალამი ვერ ასწერს მაშინდელ აჭარის გასაჭირს. შიმშილი, სახლ-კარის მიტოვება, თოვლში ფეხშიშველა სხვა მხარეს გახიზვნა, ქვაზე შეშლა, ციხე, კატორღა არ დაკლებია აჭარლებს.

ასე გულით უყვარდათ ისინი თვითმპყრობელობის ლაქიებს: რომანოვსკის, ლაჩინოვს, იონინს, გურილოვს და სხვებს, ჩვენ არ გავიხსენებთ რაც მოხდა შარშან, ახლა თვით აჭარლებიც მიხვდნენ, რომ ისინი გააბეჩეს, მოატყუვეს და ქართველებს გამოთიშეს. ისტორია გაასამართლებს მოღალატეს, ჩვენ გვწამს, რომ მოღალატე აჭარა არ ყოფილა, ქართველ მუსლიმანების დემოკრატია მაშინაც ჩვენთან იყო და ამიერიდან ხომ ჩვენთან იქნება. მან კარგად იცის სამში რომელი სჯობს: სულთანი, რუსი ჯანდარი, თუ მეზობელი—სისხლხორცი, დემოკრატიული საქართველო.

და ბი დღეს იკრიბებიან წარმომადგენლები და დღეს საუკუნოთ გადასწყვეტენ საშვილიშვილო საქმეს, ვუსურვებთ ჩვენ მათ ნაყოფიერ მუშაობას. ვუსრურვებთ მათ შვილებს ისინი ლოცვა-კურთხევით მოეგონოთ. გაუმარჯოს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოში ავტონომიურ აჭარა ქობულეთს, გაუმარჯოს მათ წარმომადგენლებს!..

## საფრანგეთის მწერლები საზავო ხელშეკრულების შესახებ

22 ივლისის „ჰუმანიტე“-ში სათაურით— „უსამართლო ზავის წინააღმდეგ“—დაბეჭდილია პროტესტი, რომელსაც ხელს აწერს მთელი რიგი ფრანგი მწერლებისა, სადაც სხვათა შორის სწერია:

ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმის წინააღმდეგ, რომ ხელშეკრულება ჰბედავს წავიდეს უფლებისა და სამართლიანობის იდეის წინააღმდეგ. 1871 წლის ხელშეკრულების მსგავსად, მსგავსად ყველა ხელშეკრულებისა, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში იდებოდენ, ის სპობს ამ მაღალ პრინციპებს, ის თავისებურად ეპყრობა მათ, როგორადაც ის ეპყრობა ხალხებსა და ტერიტორიებს კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

გამომუშავებული ოფიციალური სალონების დახურულ კარებებში, საზოგადოებრივი აზრის მოშორებით, ხალხის მასსების სიძულვილში, ის არის უხეში, თუმცა პირმოთნე, წინააღმდეგობა ვილსონის 14 ჭეშმარიტებისა, რომელნიც მას ცხოვრებაში უნდა განეხორციელებინა ძველი წყობილების ნანგრევებზე. საჭიროა, რომ ეს ხელშეკრულება გადასინჯულ იქნეს. ჩვენ არ გვწამს, რომ ის იყვეს ნამდვილი და მკვიდრი. ეს არ არის საზავო ხელშეკრულება. სხვადასხვა პარტიის და შეხედულობების პირები სცნობენ, რომ ის ოდესმე გამოიწვევს ახალ-ახალ ომებს იმ ძველ კონტინენტზე, რომელსაც უკვე აღარ შეუძლია მათი გადატანა. უაზროა იმპერიალისტთა ბლოკის დაყენება იმის ალაგს, რაც ეხლა განადგურებულია და ამგვარად მიცემა კანონის ძალისა ზღაპრულ ტრადიციებისათვის, რომლებიც აქამდე იყვნენ მიზეზნი მსოფლიო სისხლიან ჭრილობებისა. თუმცა ომის ერთ-ერთ მიზნად თითქოს იყო ისტორიაში ბარბაროსობის საბოლოო მოსპობა: ასე ეუბნებოდენ ყოველ შემთხვევაში სალდათებს, როცა მათ აგულიანებდენ მტრის წინააღმდეგ.

ეს კომბინაციები ნაციონალისტური ეგოიზმებისა და სავაჭრო ინტერესებისა შეიძლება დროებით დარჩეს ხელოვნურად. მათ გულისთვის მომავალ თაობათ მოელის განადგურება და სიკვდილი. ეს ომი ვერც კი დამთავრდება. ის, მიუხედავად ეგრედ წოდებულ საზავო ხელშეკრულებისა, ისევ გრძელდება ევროპაში 23 ფრონტზე, რასაც მხარს უჭერენ გამარჯვებული სახელმწიფონი კაპიტალიზმის ბატონობის განსამტკიცებლად. სალდათების უმრავლესობა რჩება თოფის ქვეშ მონებად იმ საქმისა, რომელიც არ არის მათი საქმე. ძველი სისტემა ხალხის მონოპისა ამ ომიდან ერთხელ კიდევ გამოვიდა გამარჯვებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მკვიდრად აშენება შენობისა შეიძლება მხოლოდ სამართლიანობისა და ჭეშმარიტების საფუძვლებზე. ჩვენ ვფიქრობთ აგრეთვე, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი არის შემადგენელი ნაწილი საერთო საქმის უდიდესი სიყვარულისა: წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხოლოდ საშიში პაროდიაა ლამაზი გრძნობისა, ისევე, როგორც გაბატონებულ კლასების მიერ შემოღებული წესრიგი არის მარტოოდენ პაროდია წესრიგისა.

ხელშეკრულება, რომელიც შეიკრა 1919 წლის ივნისში, არ არის ღირსი საფრანგეთის კეთილშობილ ტრადიციებისა და მას ვერ მოეპყრობიან ვერც პატივისცემით, ვერც ნდობით. ის საკვირველი სიცხადით გვიჩვენებს, რომ ძირიანად უნდა შეიცვალოს ქვეყნიერების ცხოვრების დღევანდელი პირობები. პატიოსანი და შორს მჭვრეტელი ხალხი გრძნობს, რომ ამიერიდან ხალხის მასსების წინაშე სდგას სიკვდილ-სიცოცხლის კითხვა და რომ ისინი ჩაცვივიან უფსკრულში, თუ საქმეთა წარმოება არ იქნა მოწყობილი მსოფლიო დემოკრა კრატიული წესრიგით, საერთო კანონების გაყვანით, რომლებიც მოაწესრიგებენ შრომას, წარმოებას, ვაჭრობას და საგარეო საქმეებს. მხოლოთ ინტერნაციონალიზმით დამთავრდება ხალხის მასსების შეკავშირება.

# დღეს

**სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარმა ბელგოროდის მიმართულებით კორენევის ხაზზე დაიხია და კუპიანსკი დაიჭირა. კოლჩაკის ფრონტზე საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.**

კიევის რაიონში ბოლშევიკებმა 17—50 წლამდე მობილიზაცია გამოაცხადეს. 25 აგვისტოს ღამით საგუბერნიო საგანგებო კომისიამ 14 ბურჟუა მძევალი დახვრიტა.

**ამერიკის სასურსათო დიქტატორის აზრით ევროპას კატასტროფა მოელის, თუ შრომის ნაყოფიერება არ გაიზარდა.**

**სილეზიაში წესიერება მყარდება. ახლო ხანში მაღაროს მუშები მუშაობას დაიწყებენ.**

**პარიზიდან მოსული ცნობით სერბია-რუმინიის დამოკიდებულება მოულოდნელათ გამწვავდა.**

მაშ, დაე ის ხალხი, რომელიც პასუხისმგებელია დღევანდელი და ხვალინდელი დღისა, ნუ მოიყრუებს ყურს ჭეშმარიტების მექარის წინაშე...

კომიტეტი ჯგუფისა „სინათლე“: ანატოლ ფრანსი, ანრი ბარბიუსსი, ვიქტორ ცირილი, როლან დორჟელი, ჟორჟ დიუგამელი, ანრი ჟაკი, რაიმონდ ლეთებრი, მადელენა მარქსი, სევერინი, ლორან მალიადი, ვილიამ კუტიური.

ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა რესპუბლიკანური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მაგიერი **ანრი ბარბიუსსი.**

# უკანასკნელი ცნობები

**ბ ა ქ ო შ ი.**

სამი კვირის შეჩერების შემდეგ გამოსვლა იწყო რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ორგანო „ისკრამ“.

მუღანში ადერბეიჯანის ჯარმა მცხოვრებთაგან ჯერ-ჯერობით ჩაიბარა 16 ზარბაზანი ახალი სისტემისა, 24 ტყვისმფრქვეველი, დიდძალი ყუმბარები და ტყვიები. იარაღის ჩაბარება გრძელდება.

ბაქოს ბირჟაზე ფულის დახურდავების ფასი შესამჩნევად დაეცა. ათას მანეთიან „კერენსკებში“ მოითხოვენ ზედმეტს მხოლოდ 15—18 პროც. წვრილი ფულის ლაჟი არ აღემატება 8—10 პროც. ფულის ყველა კატეგორიის ფასი დაეცა. ნიკოლოზის 100 მანეთიანს 230—250 მანეთად იძლევიან. ხუთასიანს—1100 და სხვ.

საქონლის ბირჟაზე სრული სიწყნარეა. იმის გამო, რომ საქონელი ბლომად შემოდის, ფასები თანდათან ეცემა. ფასები შესამჩნევად კლებულობს სპიჩქაზე, შაქარზე და საგაზეთო ქაღალდზე.

ბაქოში მიღებული ცნობით მოხალისეთა სარდლობის განკარგულებით პეტროვსკში დახვრიტეს 15 მეზღვაური, რომელთაც ბრალად ედებოდა კომუნისტთა პარტიის წევრობა.

ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართეს ნახიჩევანის, შარურის, სურმალინის მაზრების და ერევნის მაზრის ვედიბასარის რაიონის სათვისტომოებმა, რათა ამიერ-კავკასიის განახლებულ კონფერენციაზე მოწვეულ იქნან ადერბეიჯანის წარმომადგენლებთან ერთად მრჩევლებათ ამ მაზრების და რაიონის წარმომადგენლები, ვინაიდან ეს ადგილები როგორც ეთნიურად, ისე ისტორიულად და სხვა საბუთების ძალით ადერბეიჯანის ნაწილს შეადგენენ.

**ოსმალეთი და ამიერ-კავკასია.**

„ზნ. ტრუდ.“ გადმოცემით, ოსმალეთთან ახლოს გაცნობილი პირის აზრით, არავითარი საფრთხე ოსმალეთისაგან ამიერ კავკასიას ამ ჟამად არ მოელის. ოსმალეთი ახლა რუსეთის მდგომარეობეშია. პროვინციები იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. ოსმალთა აფიცრობა და ინტელიგენცია ანატოლიაში გაიხიზნა სტამბოლიდან, სადაც აგიტაციას ეწევიან ოსმალეთზე პროტექტორატის დაწესების წინაალმდეგ. ამ ჟამად ოსმალეთში არავითარი ცენტრი არ მოიპოვება, რომელსაც შეეძლოს ფართო ხასიათის შემოტევის ხელმძღვანელობა.

**მოხალისეთა სამეფოში.**

1 ივლისს როსტოვში 100 კაცი „გაროზგეს“. თითოეულს დაარტყეს 30 ჯერ. მობილიზაციით დროზე გამოუცხადებლობის გამო რამოდენიმე აფიცერი ჯარისკაცამდე ჩამოაქვეითეს.

ეკატერინოსლავის რაიონში ყაზახებს მატარებლიდან ჩამოჰყავთ ებრაელები და ხვრეტენ, ვინაიდან, მათი აზრით, ყველა ებრაელი კომუნისტია.

ბალაშოვში მოხალისეები შემდეგი ყვირილით შეიჭრენ—„დაჰკათ ებრაელებს და კომუნისტებს“. დაიწყო ებრაელებზე ნადირობა გამოჰყავდათ ისინი ბინებიდან და ატიტვლებდნენ. ზოგიერთებს აპატიმრებდნენ. ვინც კომუნისტათ მიეჩვენებოდათ, ხვრეტდენ. ქალაქ გარეთ დახვრიტეს 14 ხელოსანი ებრაელი. მდიდარ ებრაელებს მხოლოდ ძარცვავდენ. მუშათა კოოპერატივები დაარბიეს ყაზახებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. პირველსავე დღეს ქალაქში მოჰკლეს დარჩენილი საბჭოთა კომისარი და ერთი ახალგაზრდა კომუნისტი ქალი, რომელმაც შვიდი ტყვია დაახალა მოხალისეთა რაზმს და თითონ ორი ტყვიით დაჭრილმა ინტერნაციონალის სიმღერაში დალია სული.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 აგვისტო.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** აგვ. 27. კიევი, აგვ. 26. კიევის გამაგრებულ რაიონში გამოცხადდა მობილიზაცია 17 წლიდან 50 წლამდე, თხრილებში სამუშაოზე გასასვლელად. კიევი, აგვ. 26. რევ. სამხედრო საბჭოს წევრმა კომუნისტმა ლაცისმა სთქვა, რომ მდგომარეობა ფრონტზე მტკიცეა, კიევის რაიონში მტერს გადაწყვეტილათ შევუტევთ და გავანადგურებთ დენიკინის მიერ გაბმულ ქსელსაო. პეტლიურას წინააღმდეგ ჩვენ გადამწყვეტი ზომები მივიღეთ. ჟიტომირი უკან დავიბრუნეთ. დენიკინის შემოტევა მოვიგერიეთ. ღამით აგვ. 25. საგუბერნიო საგანგებო კომისიამ 14 ბურჟუა მძევალი დახვრიტა. კორსუნის რაიონი დენიკინის ბრბოებისაგან გავანთავისუფლეთ. დავამარცხეთ მტერი, რომელსაც თავის შემადგენლობაში ყავდა დიდძალი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და ჯავშნიანი მატარებელი. **მოსკოვი,** აგვ. 27. სამხედრო ცნობა. 27 აგვ. დასავლეთის ფრონტი. ლუგის მიმართ. ჩვენი შეტევა თანდათ ძლიერდება. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა სოფ. და სად. სტრუგი და ვლადიმერის ბანაკი აიღო. 26 აგვის. ჩვენმა ჯარმა პსკოვი აიღო. ხელში ჩაიგდო 2 ტყვიისმფრქვეველი და წამოიყვანა 150 ტყვე. მდ. ველიკაიას დასავლეთით ჩვენი ჯარი სოფ. ჩერნეცოვას ხაზზე გამოვიდა. დვინის რაიონში ჩვენ ნოვოალექსანდროვკა დავსტოვეთ. ბრძოლა გრძელდება. ლუნინეცის მიმართულებით ჩვენ ტურევი დავსტოვეთ. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ვოლინის, ნოვგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი მტერს სოკოლოვიდან როგაჩევისკენ სდევნის. დნეპრის მარცხენა მხარეზე პერეიასლავის მიმართ. ჩვენმა ჯარმა მტერი 10 ვერსით უკან დახია. სამხრეთის ფრონტი. სუნჯის მიმართ. ჩვენ რილსკი დავსტოვეთ. რაიონში ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. კურსკის მიმართ. ბრძოლას აწარმოებს. ბელგოროდის მიმართ. ჩვენი ჯარი კორენევის ხაზზე გადმოვიდა. ჩვენ კუპიანი დავიჭირეთ. პავლოვის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. პავლოვსკთან ბრძოლას აწარმოებს. კალაჩის მიმართ. ტალოვაიას სამხრ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ბორისოგლების მიმართ. ბრძოლაა. აღმოსავლეთის ფრონტი. ტროიცკის რაიონში ორსკის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. კურგანის რაიონში ჩვენ სადგურ პროსტროვსკაიასთან გამოვედით. ოკ. გზის რაიონში მტრის ბატალიონი ორი ტყვიისმფრქვეველით ტყვედ წამოვიყვანეთ. იალუტოვის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. **ნაუენი,** აგვ. 26 პარიზიდან მოსული ცნობით, სერბია-რუმინიის დამოკიდებულება მოულოდნელად გამწვავდა. **ნაუენი,** აგვ. 26. ამერიკის სასურსათო დიქტატორი ხუვერი პესიმისტურათ უყურებს ევროპის მდგომარეობას, რომელსაც ეკონომიური კატასტროფა მოელის, თუ შრომის ნაყოფიერება არ გაიზარდა.

**ინგლისური პრესის ცნობები.**

ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის ჯარმა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში მდ. ბერეზინას მიაღწია და მდ. ქვილოჩის ხაზამდე მივიდა მოწინააღმდეგეს ტარტაკოვისკენ დაახევინეს.

ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადასწყვიტა დიპლომატიური წარმომადგენლები დანიშნოს რუსეთის ყველა მთავრობებთან, გარდა ბოლშევიკებისა, და აგრეთვე ძველი რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში. კოლჩაკთან და დენიკინთან გაგზავნილ წარმომადგენლებს რწმუნებულთა სახელი ეწოდებათ. საგარეო საქმეთა მინისტრი გაგზავნის წარმომადგენლებს საქართველოში, ადერბეიჯანში, სომხეთში, ესტლანდიაში და ლატვიაში.

გერმანიის მთავრობის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა სილეზიაში ხერსინგმა პრესის წარმომადგენელს შემდეგი განუცხადა: „უკანასკნელი ცნობები დამაკმაყოფილებელია. თანდათან სიწყნარე და წესიერება მყარდება. თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ამ კვირის ბოლოში მუშები ყოველგან განაახლებენ მუშაობას. ხერსინგი ირწმუნება, რომ მღელვარება სპარტაკელებმა გამოიწვიეს და მხოლოდ შემდეგ მიიღო მან ნაციონალისტური ელფერი, რასაც ამტკიცებს სილეზიაში პოლონელთა ფარულ ორგანიზაციების შესახებ აღმოჩენილი საბუთები. უშედეგოა აგრეთვე ის შიში და შფოთვა, რომელიც გერმანია-პოლონეთის საკითხის გარშემო აღმოცენდა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

(დასაწყისი არ არის მიღებული). გამოირკვა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის სოციალისტური პარტია ერთი კლასის ბატონობის მოსპობისა და დემოკრატიულ პრინციპების მომხრეა ბრაუნგშვეიგსა, ბრემენსა, მიუნქენსა, უნგრეთსა და ბოლოს რუსეთში მოხდენილი საბჭოთა რესპუბლიკის ცდა გვასწავლის, რომ სოციალისტურ იდეების განხორციელება შეიძლება მხოლოდ დემოკრატიზმის დამყარებით და პროლეტარიატის განთავისუფლებით. ისეთი ცდა არ უნდა მოხდეს, რომელსაც რეაქცია მოსდევს, როგორც ეს უნგრეთში იყო.

ვენიდან მოელიან გენ. მაკენზენის ჯარის პირველ ტრანსპორტს, რომელსაც დანარჩენიც მოჰყვება.

ვესტფალიაში ბერლინის პოლიციამ დააპატიმრა 3 კაცი, რომლებიც პოლონეთის მთავრობის აგენტებზე ათასამდე თოფს ყიდდენ. ფრანკფურტში საერთაშორისო იარმუკა აგვისტოს ბოლოში და სექტემბრის დასაწყისში შესდგება. ბევრ ნეიტრალურ სახელმწიფოს აქვს განზრახული მასში მონაწილეობის მიღება.

# ახალი ამბები

**დღეს,** საღამოს 5 ს. დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში შესდგება საზოგადო კრება 1-ლ რაიონის პარტიის წევრებისა, პარტიის წევრებმა თან უნდა იქონიონ პარტიული მანდატები.

◆ **დღეს.** 29 აგვისტოს, საღამოს 6 საათ. ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია არაჩვეულებრივი სხდომა ქალაქის საბჭოს სოც. დემოკრატიული ფრაქციისა.

◆ **ნაძალადევში** 23 აგვისტოს შესდგა იურიევის და ტულის ქუჩების ახლო მდებარე უბნების მცხოვრებთა კრება, იმის შესახებ მოსალაპარაკებლათ, თუ რა ზომები იქნას მიღებული ღამის მძარცველების წინააღმდეგ. არჩეულ იქნა ორი მოქალაქე, რომელთაც დაევალა კომისართან შეთანხმებით მოაწყონ უბნის დაცვის საქმე.

◆ **თფილისის** ხელზე მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი ამით აცხადებს, რომ უმუშევრები ჰყავს სამასამდე და სანამ მათ არ დააყენებს ადგილებზე, შეწყვეტილია ახალი უმუშევრების ჩაწერა.

◆ **მთიელთა კონფერენცია.** გუშინ თფილისში გაიხსნა პირველი სხდომა მთიელთა კონფერენციისა ახმედ ალიევის თავმჯდომარეობით,

◆ **დამფუძნებელ კრების** არჩევნების მომწყობ ცენტრალურ კომისიას მოუვიდა ცნობები დამფ. კრების დამატებითი არჩევნების შესახებ ყველა კუთხიდან გარდა სვანეთისა.

◆ **ხოლერა** 23 აგვისტოს ხოლერით ავათ გახდა ლტოლვილი ზუმრუდ ვარტანოვი და მარია ლასტოვსკისა.

◆ **ნ. ათაბეგოვ-ტუმასის ლექციები.** საბჭოთა რუსეთიდან ჩამოსული ამხ. ნ. ათაბეგოვ-ტუმასი ამ დღეებში თფილისში მთელ რიგს ლექციებისას წაიკითხავს შემდეგ თემაზე „საბჭოთა რუსეთის აწმყო და მომავალი“.

◆ **ლექციები.** დღეს, 29 აგვისტოს, საღამოს 6 ს. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის აუდიტორიაში შესდგება უფასო ლექციები ქართულ ენაზე. ექ ნ. ტურიაშვილი წაიკითხავს: სახალხო ჯანმრთელობაზე ეპ. ალშიბაია: ელექტრობა და ორთქლის ძალა.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, სრულ 5 საათზე დანიშნულია ს. ახ. მარქს. ორგ. ცენტრალური კომიტეტის კრება საკუთარ ბინაზე.

**პროვინციის ქრონიკა.**

**ს. კავთისხევი** (გორის მაზრა). 24 აგვისტოს ღამით უცნობმა პირებმა საკუთარ სახლში მოჰკლეს მღვდელი მეშველიძის ქვრივი (ქამუტოვი) და მიიმალნენ. გამოძიება სწარმოებს.

**ს. მუხიანი.** 3 აგვისტოს ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი უდრ და 11,651 მ. გასავალი 8,397 მ. წმიდა შემოსავალი კი 3258 მ. საღამოს მომწყობი კომისია მადლობას უძღვნის ყვირილელ სცენის მოყვარეებს და აგრეთვე სხვა დამხმარე პირთაც.

# ინგლისის თემთა პალატაში

გაზეთ „ტაიმსის“ 30 ივლისის ნომერში სწერია, რომ 29 ივლისს ინგლისის თემთა პალატაში ირჩეოდა საკითხი რუსეთის საქმეების შესახებ. სხვადასხვა ორატორების შემდეგ ლაპარაკობს მუშათა პარტიის წარმომადგენელი. მუშათა პარტიის წარმომადგენელი კლაინსი მოაგონებს პალატას ლოიდ ჯორჯის სიტყვებს, რომლებიც მას 16 აპრილს უთქვამს, რომ ინგლისი არ უნდა ჩაერიოს სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში და რომ „თვით რუსის ხალხის საქმეა გადასწყვიტოს, იყოს რუსეთი ბოლშევიკური თუ მენშევიკური“ო. მუშათა პარტია მოითხოვს, რომ მთავრობის მოქმედება ეთანხმებოდეს მისსავე სიტყვებს. ორატორი მოითხოვს, რომ რუსეთში გაგზავნილი იქნეს კომისია საქმეების შესასწავლად. თუ ბოლშევიზმი ისე საშიშია, როგორც მას ხატავენ, ის აღმოფხვრილი იქნება უფრო შიგნიდან, ვიდრე გარედან. მას უფრო ადრე მოსპობთ მცხოვრებთა გამოკვებით, ვიდრე შეიარაღებულ ბრძოლით. მუშები გაკვირვებული არიან ინტერვენციით რუსეთში იმ დროს, როცა მთავრობა აცხადებს, რომ ინტერვენცია მის გეგმებში არ შედის. რამოდენიმე თვეა, რაც მუშებს ეუბნებიან, რომ ჯარები რუსეთიდან გამოყვანილი იქნებაო, მაგრამ ჯერ ეს არ სჩანს. ეს კი ეხლა უფრო მოსახერხებელია, როცა ომი გათავებულია და რესურსებიც საკმაოდ გვაქვს. მაგრამ ორატორს შეატყობინეს, რომ 30 ტანკი მზადაა რუსეთში გასამგზავრებლადო, მთავრობამ უნდა დააშოშმინოს მუშები ამის გამო. მუშები აღელვებული არიან ინგლისის პოლიტიკით რუსეთში და ფიქრობენ, რომ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა ხდება კერძო კაპიტალისტების ინტერესების გულისთვის, რომლებთაც რუსეთში დაბანდებული აქვთ თავის კაპიტალები. მიტინგებზე ამბობენ, რომ მთავრობას ჰსურს ჩაახრჩოს „რუსეთის ახალგაზრდა დემოკრატიაო“. საჭიროა მთავრობამ დააკმაყოფილოს მუშები სათანადო განმარტებით. თვით ორატორი ჰფიქრობს, რომ რუსეთში ეხლა არ არის არც დემოკრატია და არც სოციალისტური რესპუბლიკა. ის შეიძლება რესპუბლიკაა, მაგრამ დამყარებულია პირად დიქტატურაზე და მუშათა კლასი ინგლისისა მას პირველი უარყოფდა, თუ მოიწადინებდენ მმართველობის ასეთი ფორმა შემოეღოთ ინგლისში. მუშებმა შეიძლება გამოაცხადონ ნაციონალური გაფიცვა, თუ პოლიტიკა მთავრობისა ამ საკითხში არ შეიცვალა. მაგრამ მუშათა კლასი თავის დღეში არ იხმარს ისეთ იარაღს, რომ მისცეს საბუთი, რომ იმით მერე, როცა მისი მთავრობა დამყარდება, ახლა ხალხის სხვა ნაწილმა იხმაროს იგივე იარაღი. მაგრამ ინტერვენცია რუსეთში ვერ მოიპოვებს ამომრჩეველთა მოწონებას. მთავრობამ რწმუნება უნდა მოგვცეს, რომ ჯარები, რომლებიც რუსეთშია, დაბრუნებულ იქნება. „როგორი საშინელიც არ უნდა იყვეს რუსეთის შინაური საქმეები, რუსებმა თითონ უნდა მოაწესრიგონ ისინიო“.

მთავრობამ განაცხადა, რომ თუმცა ის ეხმარება დენიკინს, კოლჩაკს და არხანგელსკის მთავრობას (მაგალითად სხვადასხვა სახით დახმარება აქამდე უდრის 20 დან 30 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს), მაგრამ ამიერიდან რუსეთის ტერიტორიებიდან ინგლისის ჯარი გამოწვეულია და რამდენიმე თვის შემდეგ იქ არც ერთი აფიცერი და ჯარისკაცი აღარ იქნებაო.

# „ფრონტის პროლეტარული დღე“

პროფესიული კავშირების საბჭომ ყველა საწარმოვო დაწესებულებებს შემდეგი მიმართვა დაუგზავნა: პროფ. კავშირთა საბჭო გატყობინებთ, რომ კვირას, 31 აგვისტოს ქ. თფილისის და მის რაიონის ყველა წარმოებებმა, და მათ შორის თქვენმაც, უნდა ნორმალურად იმუშაონ. ასეთი დადგენილებანი გამოიტანეს ქ. თფილისის ყველა პროფ. კავშირებმა და მწარმოებელთა ორგანიზაციებმა. მიიღეთ წინასწარი ზომები, რომ 31 აგვისტოს ნორმალურად მუშაობდეს წარმოება. მთელი შემოსავალი ამ დღეს თქვენ უნდა შემოიტანოთ ჩვენ საბჭოში 7 სექტემბრამდე. ვადის გადაცილება შეიძლება თუ ამის განსაკუთრებული პირობებია. იმ მუშებს და მოსამსახურეთ, რომლებიც რაიმე მიზეზით არ გამოვლენ 31 აგვისტოს სამუშაოდ, დღიური ქირა დაექვითებათ ჩვეულებრივ ჯამაგირ დან. როგორც გამონაკლისი შეიძლება არ მუშაობდეს ის დაწესებულებანი და წარმოებები, სადაც ეს ტექნიკურად მოუხერხებელია,

ამათ ერთი დღის ქირა დაუჭირებათ საერთო ჯამაგირიდან. აღნიშნული დღიური ხელფასი უნდა შემოტანილ იქნეს საბჭოში სათანადო შემოწმებული გვარის, სახელის, მამის სახელის და რაოდენობის აღნიშვნით. ფულის მიღება საბჭოში სწარმოებს ყოველ დღე 10—2 ს-დე და 6—8 ს-დე. ფულის მიღების დროს მიეცემათ კვიტანციები. ყოველგვარ ცნობებისათვის მიმართეთ საბჭოს".

— 25 აგვისტოს შესდგა საავტომობილო სახელოსნოს მუშების საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 200-ზე მეტი კაცი. კრებამ განიხილა საკითხი ფრონტის „პროლეტარულ დღის" მოწყობის შესახებ და ხმის დიდი უმრავლესობით (გარდა 15 კაცისა) დაადგინა მიიღოს ყოველმხრივი მონაწილეობა ამ დღის რიგიანათ ჩატარებაში. სხვათა შორის, დაადგინეს ყველამ იმუშაოს 31 აგვისტოს და ამ დღის ჯამაგირი სავსებით გადასცენ ფრონტის ფონდს.

27 აგვისტოს შესდგა ზეთის და საპნის ქარხნის მუშების პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 180 კაცი (კავშირში სულ 220 კაცია). კრებამ ერთხმად დაადგინა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ფრონტის დღის მოწყობაში და მის რიგიანათ ჩატარებაში, იმუშაოს 31 აგვისტოს და ამ დღის ხელფასი გადასდოს ფრონტის ფონდისთვის.

პროფესიონალურ კავშირთა გამგეობა ამით აცხადებს, რომ პარასკევს, 29 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, კავშირის ბინაზე (ყოფილი სასტუმრო „ბო-მონდი"), შესდგება საბჭოს მორიგი სხდომა. ვინაიდან ამ სხდომაზე გასარჩევია ფრიად სერიოზული საკითხები, ამიტომ საბჭოს წევრთ სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ სხდომას.

**ფრონტის პროლეტარული დღე თფილისში.**

31 აგვისტოს, კვირას, ყველა მუშები მუშაობენ ჩვეულებისამებრ, გარდა ზოგიერთ კავშირების, როგორ ხელზე მოსამსახურეებისა, რომლებიც საღამოთი მუშაობენ. დილის 11 საათზე იყრიან თავს კავშირების ბინაზე (ყოფილ „ბო-მონდის" სასტუმროში), აქედან მორთული საბარგო ავტომობილები მუსიკის დაკვრით და დროშებით გაემართებიან ქალაქის სხვადასხვა ნაწილებისკენ. საბავშო დილები იმართება მუშტაიდში და ნაძალადევში. საღამოთი კონცერტ-მიტინგები იმართება შემდეგ ადგილებში: მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი, 65), დასაწყისი საღამოს 8 ს. მოხსენებას გააკეთებს ევგენი გეგეჭკორი; 2) მუშტაიდის კლუბში. დასაწყისი 6 ნახ. საათ. საღამოთი, მომხსენებელი რ. არსენიძე; 3) ნაძალადევის მუშათა კლუბში დასაწყისი 7 ნახევარ საათზე, მომხსენებელია რ. არსენიძე; 4) ვერის მუშათა კლუბში, დასაწყისი 8 ნახევარ საათზე, მომხსენებელია ნოე ხომერიკი; 5) ავლაბრის მუშათა კლუბში, დასაწყისი 7 საათზე მომხსენებელია, ვალ. ჯუღელი 6) ორთაჭალის მუშათა კლუბში, მომხსენებელია ვ. ჯუღელი. ყველა ზემო ჩამოთვლილ კლუბებში კონცერტში იღებენ მონაწილეობას საუკეთესო ძალები. შესვლა უფასოა პროფესიონალურ კავშირების ბილეთებით, ამასთანავე მოუწოდებთ ყველას ამ დღეს, როგორც დილით, ისე საღამოთი თითონ დაიცვან წესრიგი და მწყობრად ჩაატარონ ეს დღე.

**მოწოდება რესპუბლიკის ყველა კუთხისადმი:**

31 აგვისტოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ყველა დაბა ქალაქებში, სადაც კი მოიპოვება მუშათა პროფესიონალური კავშირები, იმართება ფრონტის პროლეტარული დღე. ამ დღეს უფრო დიდი მნიშვნელობა იმიტომ ეძლევა, რომ ავანგარდი საქართველოს რევოლიუციონური დემოკრატიისა, თფილისის მუშა ხალხი, ამ კვირა დღეს უბრუნდება თავიანთ ქარხნებს იმ აზრით გამსჭვალულნი, რომ გაოგნებული ქურის გუზგუზი თფილ ძმურ გრძნობას მიაწოდებს ფრონტზე მდგომ სასახელო გვარდიას და ახალგაზრდა ჯარს, გრდემლზე ჩაქუჩის ცემა კი მათ გაუკაჟებს გულს და ენერგიას შავი რეაქციის ტალღებთან საბრძოლველათ, თუ დღემდის ჩვენი ცხოვრება, ფიზიკური არსებობა და რევოლიუციის მონაპოვარნი უზრუნველყოფილია, ეს ჩვენი მშრომელი ხალხის შეგნების ნაყოფია, რომელმაც თავისი საუკეთესო შვილები და ძმები თავისუფლების მტერთ დაუყენა წინ.

მათი დიადი საქმიანობა არ შეუძლიან დაივიწყონ ზურგში მონუშავე ამხანაგებმა და ფრონტის პროლეტარული დღის გამართვით უკავშირდებიან ფრონტს აზრით და ამით ამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ფრონტის მთლიანობას.

მატერიალური მხრით ამ დღეს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს: მთელი დღის ნამუშევარი გადადის თფილისის პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან არსებულ ფონდში, რომელიც მიაწვდის ფრონტს: ჟურნალ-გაზეთებს, წიგნაკებს, ლექტორებს, სხვადასხვა საჩუქრებს და აგრეთვე დაეხმარება ომში დაღუპულთა ოჯახებს.

თფილისში ამ დღის კარგათ ჩასატარებლათ უკვე არის მუშაობა გახურებული და რომ უფრო დიდებულათ იყვეს ფრონტის პროლეტარული დღე ჩატარებული, ამიტომ საჭიროა ყველა რესპუბლიკის კუთხეებში საკუთარი ძალით მოაწყონ ეს დღე, და ამით ერთხელ და სამუდამოთ აგრძნობინონ ჩვენი თავისუფლების მტერთ, რომ მთელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელი ხალხი მუდამ მზათ არის დაიცვას როგორც გარედან, ისე შიგნიდან მომდგარი მტრისაგან ჩვენი თავისუფლება.

ფრონტის პროლეტ. დღის მომწყობი კომიტეტი.

# ფინეთის სოც.-დემ. მიმართვა ინტერნაციონალისადმი

27 ივლისის „ჰუმანიტე"-ში სწერია: „ფინეთის სოციალისტები, რომლებმაც, მიუხედავად მანერგეიმის მთავრობის სასტიკ რეპრესიებისა, ისევ მოიპოვეს მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყანაში, იმ თავითვე წინააღმდეგნი იყვნენ ფინეთის საბჭოთა რუსეთის საქმეებში ჩარევისა. იდეა ამ ჩარევისა გაკოტრდა და გათავდა მანერგეიმის ჯარების დამარცხებით.

ამის შესახებ ფინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ბრიუსელში ინტერნაციონალის ბიუროს სახელზე შემდეგი განცხადება გაგზავნა: „ფინეთის საგარეო მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდება. იმპერიალისტური და სამხედრო წრეები, რომლებიც წინად გერმანიისკენ იხრებოდენ, ეხლა ცდილობენ მოიპოვონ დახმარება ანტანტის შესაფერ წრეებში, რომელიც ცდილობს ჩარიოს ფინეთი რუსეთის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციებში. ეს ჩარევა მოუტანს, ფინეთს მეტად სამწუხარო შედეგებს. მოისაბაბებდენ რა სამხედრო პირობებს, რეაქციონური პარტიები შესძლებდენ დემოკრატიული რეფორმების გადადებას, რომელთა გატარება ეხლა აუცილებელია.

„სოციალ დემოკრატებსა და ფინეთის ხალხის დიდ უმრავლესობას ჰსურს გააგრძელოს ქვეყანაზე ცივილიზაციის საქმე, მაგრამ მათ ღონისძიებას ეწინააღმდეგებიან მილიტარისტები თავის მუშაობით, რომლებიც ჰფიქრობენ, რომ ფინეთის ომში მონაწილეობა აუცილებელია, რომ მან მოიპოვოს კეთილ განწყობილება ევროპისაო. ანტანტის მთავრობები თითქოს აქეზებდენ მათ ამ გეგმების შესრულებაში. ჩვენ გთხოვთ, რომ მიიღოთ თქვენ ზომები ანტანტის სოციალისტური პარტიების წინაშე, რომ მათ, როგორც პარლამენტში, ისე სხვაგან ყველა შესაძლებლობა იხმარონ, რომ აიძულონ თავის მთავრობები არ ჩარიონ ფინეთი ომში და არც არავითარი ძალა დაატანონ ჩვენ ქვეყანას".

განცხადებას ხელს აწერენ ფინეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის წევრები: ტანნერი, პაასივცორი და ტანნიო.

# სალამი ინგლისიდან

ჩვენმა რედაქციამ ლონდონიდან შემდეგი წერილი მიიღო:

„ამ დღეებში მიემგზავრება ქალ. ლონდონიდან საქართველოში ჩვენი თანამემამულე ბატ. ალექსანდრე მასხარაშვილი. ეს გვაძლევს ჩვენ, ლონდონის ქართველთა კოლონიას, შემთხვევას პირდაპირ მივმართოთ ჩვენს სამშობლოს, მისგან ხანგრძლივ მოწყვეტილობის შემდეგ.

„უწინარეს ყოვლისა ჩვენი აზრი და ფიქრი არის სიყვარულით და ერთგულათ მივესალმოთ ჩვენს თავისუფალ, დამოუკიდებელ სამშობლოს.

„ფიზიკურათ მოწყვეტილნი, მარგამ სულიერათ მასთან მყოფნი ჩვენ, როგორც მთელი საქართველო, ვგრძნობდით ყოველივე ძალას და მნიშვნელობას იმ მოვლენებისა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოიწვიეს.

„დღეიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო გახდა, არის და იქნება აუცილებელი ფაქტორი წეს-რიგობისა და მშვიდობიანი განვითარებისი საშუალო აღმოსავლეთში.

„ერის პოლიტიკურათ დამოკიდებული ცხოვრების დამოუკიდებელ, თავისუფალ ცხოვრებათ გარდაქმნა, თქმა არ უნდა, მეტის მეტი რთული და ძნელია, განსაკუთრებით ახლა მთელს კავკასიაში მძიმე პირობებში. ჩვენი ხალხის ჯანსაღი ეროვნული ინსტიკტისა და აბალ მართველთა სიბრძნის წყალობით საქართველომ უკვე ბევრათ დასძლია ამ სიძნელეებს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ერთსულობა ეროვნული ნებისა და მტკიცე ეროვნული სურვილი გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას.

„საუკეთესო წარმომადგენელნი საზოგადოებისა დასავლეთ ევროპაში სრულებით თანაუგრძნობენ ჩვენს მისწრაფებას პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ, როგორც მკვიდრს, ხელუხლებელ უფლებას ყოველივე განათლ[illegible] ერისას, მაგრამ არ უნდა დაივიწყ[illegible], რომ ყოველივე საქმეს, რაც უ[illegible] ყოვლად სამართლიანი და უმწიკვლოც იყოს იგი, ჰყავს როგორც კეთილის მსურველნი და მომხრენი, ისე არაკეთილის მსურველნი, მოწინააღმდეგენი. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა თანაზიარი და ერთსულოვანი მუშაობა როგორც ჩვენი მთავრობისა და მის საზღვარგარეთულ ორგანებისა, ისე ჩვენი პრესისა და საზოგადოების წარმომადგენელთა სამშობლოში და საზღვარგარეთ, რომ ჩვენი ერი და მისი პოლიტიკური მისწრაფებათა სამართლიანობა სავსებით გაეცნოს დასავლეთ ევროპასა და ამერიკას.

„ასეთი მუშაობა განსაკუთრებით საჭიროა და სარგებლიან ნაყოფსაც მოიტანს თავისუფლების მოყვარე დიდ ბრიტანეთში, სადაც სამართლიანობა და ერთა ემანსიპაციისადმი თანაგრძნობა წარმოადგენს ერთ უმთავრეს ეროვნულ თვისებათაგანს და რომლის სტუმართ მოყვარეობით ჩვენ ამ ჟამად ვსარგებლობთ და მომავალში, იმედია, ისარგებლებს სულ მეტი და მეტი რიცხვი ჩვენი თანამემამულეებისა".

ლონდონის ქართველთა კოლონიის მინდობილობით, ლონდონის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე კ. ჯაყელი.

28 ივლისი.

# უცხოეთი

**პატარა ერთა ბედი.**

საფრანგეთის მწერალმა დე-შამპანმა დაბეჭდა „საპარლამენტო მიმოხილვაში" წერილი, რომელსაც სათაურად აქვს „ხალხთა გამოღვიძება", სადაც ავტორი სხვათაშორის სწერს: „აქამდე ჩვენ დაბანდებული ვიყავით მხოლოდ და მხოლოდ გერმანიასთან ომით. ეხლა კი, როდესაც ხელები გახსნილი გვაქვს, ჩვენ უნდა დავეხმაროთ პატარა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავის დამოუკიდებლობისათვის. ყველგან აქებენ კოლჩაკისა და დენიკინის გმირობას და არ აქცევენ ყურადღებას უკრაინელების, ქართველებისა და სხვათა მოთხოვნილებებს.

თუ ჩვენ მათთვის არაფერს გავაკეთებთ, მაშინ ისინი თითონ შეკავშირდებიან და შეჰქმნიან ჯაჭვს ბალტიის ზღვასა და სპარსეთის ყურეს შუა. კონფერენციის კარები ძნელად იღება ეგრედ წოდებულ „პატარა ერების" დელეგატებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ერებს, რიცხვით 60 მილიონამდე, იმ დროს, როდესაც ისეთი მინიატიურული სახელმწიფოები, როგორც ლიბერია და გონდურასია, სარგებლობენ კონფერენციაზე სათათბირო ხმის უფლებით. („ჟურნალ დ,ორიან" 3 აგვისტო).

**პოლონეთი და ლიტვა**

რადგანაც პოლონელები ზოგიერთ ალაგას გადავიდენ ანტანტის მიერ ნაჩვენებ სადემარკაციო ხაზს და შეიჭრენ ლიტვაში, მარშალმა ფოშმა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს სახელით წინადადება მისცა პოლონეთის მთავრობას მოკლე ხანში გაიყვანოს ჯარები ამ ხაზის სამხრეთით („ჰუმანიტე" 27 ივლისი).

**არჩევნების შედეგი შვეციაში**

„ტან" 31 ივლისის თარიღით იტყობინება „პალატაში არჩევნებმა შემდეგი შედეგი მოგვცა: კონსერვატორებმა მიიღეს 39 ალაგი, ლიბერალებმა—41, აგრარულმა პარტიამ—18, სოციალ-დემოკრატებმა (ბრანტინგის ჯგუფმა) 48, მემარცხენე სოციალისტებმა 4. წინანდელ პალატაში კონსერვატორებს ჰქონდათ 86 ალაგი, ლიბერალებს 43, აგრარულ პარტიას 18, სოციალ-დემოკრატებს 19, მემარცხენე სოციალისტებს 2. კონსევატორების რიცხვის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ არჩევნები მოხდა ახალ საარჩევნო კანონის თანახმად".

**კანდრატი გუგუნავა.**

ულმობელმა სენმა ბათუმის ორგანიზაციას გამოსტაცა იდეით ამაყი სულით ფაქიზი მაგრამ სუსტი ორგანიზმის პატრონი ამხანაგი კანდრატი გუგუნავა.

საჭიროთ არ მიმაჩნია იმისი ჩამოთვლა, თუ რა დანაკლისია ჩვენი ორგანიზაციისთვის კანდრატის დაკარგვა—ამას ამხანაგ-მეგობრები ისედაც კარგათ გრძნობენ. ბათუმის დაცემის ათი თვის შემდეგ ის ლ[illegible] ჩამოსული დამხვდა. ავათმყოფობა [illegible] და, რამდენათ დღევანდელი [illegible] ლე. სულით ობლობას გრძნობდა, სასაყვედურო ეტყობოდა ბევრი ჰქონდა, მაგრამ ამჩნევდა ჩვენს დაქსაქსვას, სისუსტეს და მდგომარეობაში შედიოდა. მისმა თვალებმა ბევრი მითხრა. დავიბენ დამნაშავესავით და დავმუნჯდი. ან რა უნდა მეთქვა?! რითი შემეძლო შემემსუბუქებინა მისი გასაჭირი?

ნაძალადევში მოისვენაო. გვამცნო დეპეშამ.

რა უგულოა ეს დეპეშა!

რა ცივათ მოისმის მისგან: ამხანაგი კანდრატი აღარა გვყავს!

ს. ჟუჟარაძე

# რკინის გზაზე

**როგორ მზადდება საზოგადოებრივი აზრი რკინის გზელებზე.**

იშვიათად შეხვდებით გაზეთს, რომელშიც არ იყოს მოთავსებული წერილი რკინის გზელების შესახებ. ყველა წერილებში არის აღნიშნული ესა თუ ის უწესოება, ამა თუ იმ მუშა მოსამსახურის ბოროტ - მოქმედებანი. რკინის გზისგან შორს მდგომი პირი ისეთ შთაბეჭდილებას გამოიტანს, თითქოს ამ დაწესებულებაში სულ უწესოებაა, ანარქიაა და ბოროტმოქმედების მეტს არაფერს არ აკეთებენო. ნამდვილათ კი უმრავლესობა ამ წერილებისა სიმართლეს მოკლებულია, ზოგი მათგანი გაუგებრობაზე არის აშენებული, ზოგი რკინის გზის წესების უცოდინარობაზე და ზოგიც პიროვნების კაპრიზზე. რატომ მოსამსახურემ ვერ გაიგო, რომ ის ამა თუ იმ პიროვნებას წარმოადგენს? მაგალითად, არის ისეთი შემთხვევა, როცა კანონის ფარგლებში მოსამსახურე რასმეს სთხოვს მგზავრს და მას დათხოვნით ემუქრებიან. მოსამსახურემ არ იცის ვისთან აქვს საქმე, კიდევაც ეშინია მტკიცეთ დაადგეს თავის მოთხოვნილებაზე და ბევრჯელ ამით სამსახური ვერ სრულდება კანონიერათ. იყო ასეთი შემთხვევა: კონდუქტორმა ერთ დიდ პიროვნებას, რომელიც წინეთ მსახურებდა ჩვენს რესპუბლიკაში, ეხლა კი არარატში, არ შეატანია ვაგონში ბევრი ბარგი; მგზავრმა ყვირილით და მუქარით მიმართა: მე შენ გაჩვენებ ვინა ვარო. მე რომ არ ვყოფილიყავი ახლოს, როგორც კავშირის წარმომადგენელი, კონდუქტორი იმდენათ შეშინდა, რომ უნდოდა გაეშვა, მაგრამ ჩემი ახსნის მერმე კონდუქტორი მტკიცეთ იცავდა სამართლიან მოთხოვნილებას. ბევრს ასეთ შემთხვევას აქვს ალაგი. რასაკვირველია, დღეს ბეჭვდის თავისუფლებაა და ყველას შეუძლია სწეროს, მაგრამ წერილი სიმართლესთან უნდა იყოს დაახლოვებული. რამდენათ მე გამოძიებებში ვყოფილვარ ამის შესახებ, ვამბობ, რომ ორი მესამედი გაზეთში მოთავსებული ცნობებისა რკინის გზელების შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. ამით მე ის არ მინდა ვთქვა, რომ ყველა რკინის გზის მოსამსახურე კარგები არიან. გვირევია მახინჯებიც. ასეთი მახინჯ წევრების წინააღმდეგ, ერთი მხრით ადმინისტრაცია და მეორე მხრით კავშირი სასტიკ ზომებს ღებულობს. კარგია პრესის საშუალებით ბოროტ მოქმედებასთან ბრძოლა, მაგრამ აქ მთელი დაწესებულების მუშა-მოსამსახურენი ილანძღებიან და ამისთვის სასურველი იქნებოდა, ზოგიერთ პიროვნებას რომ შეხვდება ასეთი შემთხვევა უნდა მიმართოს ან კავშირს ან ადმინისტრაციას საქმის გამოსარკვევათ, და გამორკვევის შემდეგ კი, პრესას. მე მგონია ასეთი საშუალებით ავიცილებთ თავიდან ერთი მხრივ სამწუხარო შემთხვევებს, და მეორეს მხრივ საზოგადოებრივი აზრი რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებზე სინამდვილეს დაუახლოვდება.

თფილისის მუშა მოსამსახურეთა კავშირის რაიონული გამგეობის თავმჯდომარე ი. გიორგაძე.

# მუშათა შორის

**თფილისი.** 24 აგვისტოს შესდგა ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეების დელეგატთა ყრილობა, დაესწრო 70 წევრი კრებას ხსნის ალმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მ. ბერეჟიანი. იქნა არჩეული თავმჯდომარეთ ამხ. გ. გიორგობიანი, მდივნათ ამხ. პ. ბოკერია. კრებას დაესწრო ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ხელაძე.

წინა ყრილობის ოქმს კითხულობს ამხან. ალმ. კომ. მდივანი ე. თალაკვაძე, რომელიც იქნა მიღებული ერთხმათ. მეორე კითხვის შესახებ ერთი მუხლის შეცვლისა წესდებაში მოხსენებას აკეთებს ამხ. ე. თალაკვაძე. ყრილობა უმრავლესობის ხმით ადგენს, რომ იქ-

ნეს ქალაქთა კავშირების მოსამსახურეები შემოერთებული ქალაქის თვითმართვ. კავშირში. ამ რიგათ იქნა შეცვლილი მეექვსე მუხლი წესდებისა.

მანდატების დამტკიცების შესახებ აკეთებს მოხსენებას ამხ. თოფაძე. ყველა მანდატები იქნა ერთხმათ დამტკიცებული. ყრილობის რეგლამენტს კითხულობს ე. თალაკვაძე აღმასრულ. კომიტეტის მიერ შემუშავებულს, კრება ღებულობს ზოგიერთა მუხლების შესწორებით. აღმას. კომიტეტის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს თავმჯდომარე აღმ. კომ. ამხ. მ. ბერეჟიანი. კრება ერთ ხმათ ადასტურებს კომიტეტის დაუღალავ მუშაობას, უცხადებს მადლობას, და გადადის მო რიგ კითხვაზე. საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ აკეთებს მოხსენებას ამხ. თოფაძე. წინადადება, რომ იქნეს საწევრო გადასახადი გადიდებული 2 პროცენტით, კრება ღებულობს თითქმის ერთხმათ. ფრონტის დღის მოწყობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. ბერეჟიანი: ის მოუწოდებს ყრილობას ერთ სულოვნათ ჩავატაროთ ეს დღე 31 აგვისტოს და ჩვენი წვლილი ერთი დღის ნამუშევარი გადავდვათო. მიმდინარე კითხვებში იყო შემდეგი: ა) მოწოდება აღმასრულ. კომიტეტისა. ბ) ჟურნალების გავრცელება და გ) მოთხოვნილება წაყენებული აღმასრ. კომიტეტის მიერ მუშების დათხოვნა-მიღების შესახებ. მოხსენებას აკეთებს ე. თალაკვაძე, კრებამ ერთ ხმათ გაიზიარა მოწოდება და უკანასკნელი განცხადების შესახებ აღუთქვა მხარის დაჭერა. პ. ბოკერია.

# ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 5 აგვისტოს შესდგა მეშვიდე რაიონულ კულტურულ-განმანათლებელი კომისიის კრება. მუშათა კლუბის დაარსების შესახებ კულტურულ-განმანათლებელმა კომისიამ დაადგინა: გაიხსნას მუშათა კლუბი მეშვიდე რაიონში იმ ბინაზე, სადაც კომისია დაინახავს საჭიროთ. პრეზიდიუმის არჩევის შესახებ კრებამ დაადგინა: იქნას არჩეული პრეზიდიუმი სამი კაცისაგან შემდგარი, რომლებსაც დაევალათ: ა) კლუბის დაარსებამდე მოაწყონ ლექციები და წარმოდგენები შეძლების დაგვარათ. ბ) მასთან შეიმუშავონ გეგმა, თუ როგორ და რა სახსრით აწარმოვონ ზემო აღნიშნული მუშაობა და ამ გეგმის შემუშავების შემდეგ წარმოუდგინონ კრებას.

ელ. შარაშენიძე.

— —

**თფილისი.** 24 აგვისტოს მუსულმანთა აუდიტორიაში შესდგა მე 6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ვ. ინწკირველი. მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენება გააგეთა ი. ირემაშვილმა და კატარჯიანცმა. მოხსენებით კრება კმაყოფილი დარჩა.

შემდეგ კოლექტივის სახელით მოხსენებას აკეთებს ან. გოჩიტაშვილი; და აცნობს კრებას რაიონის მდგომარეობას და ანგარიშებს. კრება მოხსენების შემდეგ შეუდგა არჩევნებს: ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა თფილისის კომიტეტის წევრათ ან. გოჩიტაშვილი, მის კანდიდატათ შანიძე იროდიონ. კოლექტივის წევრებათ: 1) ალიხანოვი ვართან, 2) ბთაბეგოვი ვასო, 3) ირემაშვილი, 4) კიკნაძე ქეთევან, 5) ნაკაიძე მიხეილ, 6) პაპიშვილი დავით, 7) შუბლაძე ესაია, ბუაჩიძე დავით; 8) ინწკირველი ვლასა, და სოლოღაშვილი თლგა. მათ კანდიდატებათ: 1) ვართანოვი, 2) კვიჟინაძე, 3) პავლიაშვილი, 4) ვაშაკიძე ალექსანდრე, და ნაფეტვარიძე. სარევიზიო კომისიაში: 1) ბასტიანოვი პანლლეი, 2) გრიგოლოვი რაჟდენ და 3) ტერელაძე მელიტონი. მათ კანდიდატებათ: გორდაძე დიმიტრი და შათირიშვილი გიორგი. X.

# პროვინცია

კახელ მევენახეთა საყურადღებოთ.

კახეთის ვენახები სდგანან დიდ საშიშროების წინაშე; მათ მოელის სრულიად განადგურება ვაზის უსაშინელესი მტერის ფილოქსერისაგან. ფილოქსერა მოდებული აქვს კახეთის ვენახებს და ზოგ სოფლებში მას კვალიც დაუჩნევია; ეჭვს გარეშეა, მალე მთელს კახეთს მოედება ის და ჩვენი დიდებული კლასიკური მევენახეობისა და მეღვინეობის რაიონი დიდს განსაცდელში ჩავარდება: ფილოქსერა მოსპობს ვენახებს. ჩვენ ზედ მეტად მიგვაჩნია აქ გავაგრძელოთ ლაპარაკი იმაზე, თუ რა საშინელ გავლენას იქონიებს კახეთზე ეკონომიურის მხრით, თუ მას მისი საუცხოვო ვენახები მოისპო. ვინც კახეთს იცნობს, ეს მისთვის თვალსაჩინოა.

საქმე იმაშია, როგორ შეიძლება კახეთმა აიცდინოს თავიდან ის ეკონომიური განადგურება, რასაც მას ფილოქსერა უქადის. როგორც ვიცით, ფილოქსერასთან ბრძოლის საკითხი დღეს დღეობით გამორკვეულია და ამერიკული ვაზის ხმარება მის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებაა. კახელმა მევენახეებმა უნდა მიჰყონ ხელი ეხლავე ამერიკულ ვაზზე დამყნულ ვაზის გაშენებას; დაუმყნელი ვაზი თანდათანობით უნდა გადააკეთონ დამყნულ ვენახებათ, რადგანაც ამგვარ ვენახებს ფილოქსერა ველარ ავნებს.

მაშასადამე, დღევანდელი საჭირ-ბოროტო საკითხი კახეთის მევენახეობის შესახებ არის: როგორ გავრცელდეს კახეთში საჭირო ამერიკული ვაზის ჯიში, როგორ მიაწოდონ ხალხს დამყნილი ვაზი და როგორ გავრცელდეს ხალხში საჭირო ცოდნა ახალის წესით დამყნილი ვენახების გაშენების შესახებ. აი უმთავრესად ის საკითხები, რომლებიც ცხოვრებამ კახელ მევენახეთა წინაშე დასვა და რომლების ასე თუ ისე გადაწყვეტა დასაგვიანებელი არ არის და მეტის მეტი საჩქაროა.

მთავრობის ყურადღება, ერობების მეცადინეობა და კერძო ინიციატივა ერთიანად ყოველივე სიძნელეს დასძლევს.

ჩვენი დემოკრატიული მთავრობა მორალურ და ნივთიერ დახმარებას არ დაიშურებს: მიაშველებს მხარეს მცოდნე პირებს და ნივთიერ საშუალებასაც გამონახავს თუნდა იმ თანხიდან, რომელსაც სახელმწიფო იღებს ღვინის გადასახადიდან. ერობები, იმედია, აამუშავებენ იმ ამერიკული ვაზის სანერგეებს მაინც, რომლებიც მათ გადაეცა მევენახეთა და მეღვინეთა კომიტეტებისაგან; ამასთანავე იყოლიებენ სპეციალისტებს ხალხში ცოდნის გასავრცელებლათ. კერძო ინიციატივას კიდევ ბევრი შეუძლიან; კახეთში არსებობენ კოოპერატივები: კახელ მევენახეთა კოოპერატივი „კახეთი“, „კავშირთა კავშირი“. ხსენებული კოოპერატივები არ დაზოგავენ შრომასა და საშუალებას, რომ გააკეთონ ამერიკული ვაზის სანერგეები, მიჰყონ ხელი დამყნილი ვაზის წარმოებას და მიიწვიონ მცოდნე პირები ხალხში ცოდნის გასავრცელებლათ. ხსენებულ კოოპერატივებს სათავეში უდგანან დიდი ენერგიის და ხალხის მოყვარული პირები. მით უფრო იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ფილოქსერასთან ბრძოლა იქნება სასტიკი.

ამას გარდა, ჩვენ ვურჩევთ კახელ მევენახეებს: ნურც ისინი დაიშურებენ ხარჯს, თუ საჭიროებამ მოითხოვოს და გაითვალისწინონ ნათლად შემდეგი: ნუ მოიცდიან სანამ ვენახებს გაანადგურებდეს ფილოქსერა; ახლავე შეუდექით მუშაობას. მოაგონეთ მთავრობას, ერობებს, კოოპერატივებს ამ დიდ საქმეში ყოველგვარი დახმარება გაგიწიონ, ნუ იგვიანებთ!

ქ. ზერეკაშვილი.

———

24 აგვისტოს მუშათა კლუბში შესდგა საზოგადო კრება კულტურულ განმანათლებელი წრის, გამოჩინებულის საზოგადოების მკვიდრთა. დროებით ხელმძღვანელ წრის წევრმა რ. თ—ძემ მოკლეთ გააცნო საზოგადო კრებას მიზეზი და მიზანი კულტურულ-განმანათლებელი წრის დაარსებისა. საზოგადო კრება აღფრთოვანებით შეხვდა მომხსენებლის განცხადებას, რომ წრე, რომელიც აქ იქნება დიდ დახმარებას აღმოუჩენს განსაკუთრებით იმ ბიბლიოთეკა სამკითხველოებს, რომელნიც უწიგნობის და უგაზეთობის გამო ბევრი მიკეტილია და თუ სადმე არის ღია, იქაც ხალხი ნაკლებ დადის. ჟურნალ-გაზეთები ნაკლებ მოიპოვება, რაიც ძლიერ საჭიროა განსაკუთრებით დღეს, როდესაც ათასი სხვა და სხვა პროვოკატორები დაძრწიან სოფლად და ცილის წამებას ავრცელებენ განსაკუთრებით ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელებზე. სისტემატიურათ ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით მოისპობა ასეთი ხმები. გაზეთების საშუალებით გამოერკვევიან, თუ ვინ არის მტყუანი და მართალი. აი ასეთი მიზნით არის ეს წრე შემდგარი და დიდი ნაყოფის მოტანაც შეუძლია.

ცოტა კამათის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: 1) იქნეს არჩეული მუდმივი გამგეობა ხუთი კაცისაგან შემდგარი. ორი კანდიდატით. 2) იქნეს განსაზღვრული შესასვლელი და საწევრო გადასახადი. გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: 1) არტემ ჩაჩუა, 2) ტოტია ბოლქვაძე, 3) რაფიელ თარგამაძე, 4) უშანგი ჯაში და 5) ვანო კანდელაკი. კანდიდატებათ: 1) ელიზბარ თარგამაძე და ილარიონ თარგამაძე. განზრახულია საპატიო წევრებათ მოიწვიონ გამგეობაში პროფესორი აკაკი შანიძე და დამფუძნებელი კრების წევრი ფილიპე ლორია. შესასვლელს წევრი იხდის 5 მანეთს. საწევროს თვიურათ ხუთ მანეთ.

რ. ნიგოროშლველი.

# წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის“ № 171-ში ვლ. ბ—ლიმ ამცნო ქვეყანას, ვითომ მე, გ. კლდიაშვილს, მატარებელში შეურაცყოფა მიმეყენებინოს მატარებლის რევიზორ ბ. რევიშვილისთვის, დამეწყოს ლანძღვა-გინება უშვერი სიტყვებით და სხვ.

30 ივლისს მატარებელით მივდიოდი ლანჩხუთში ბილეთის აღება სამტრედიაში ვერ მოვასწარი და ვინაიდან სამსახურიდან თავისუფლება მითავდებოდა და წასვლაც აუცილებელი იყო, ჩავჯექი მატარებელში უბილეთოდ.— მატარებელში ბ. რევიზორმა მომთხოვა ბილეთი და, ვინაიდან მე ბილეთი არ აღმომაჩნდა, ჩამომართვა პირადობის მოწმობა და გამშორდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ დამიბარა თავის კუპეში და მომმართა მართლაც შეუფერებელი სიტყვებით, მიწოდა ქურდი და სხვ. ვერ მოვითმინე ეს და აღელვებულმა ვუთხარი:—ასეთი საქციელისთვის თქვენ ქურდს არ ჩამოუვარდებითთქო. კუპეში რევიზორის გარდა ისხდენ კიდევ ჩემთვის უცნობნი ორნი. ბ. რევიშვილი მომვარდა და ხელით შეურაცყოფა მომაყენა. მე არ ავყევი მის საქციელს, გამოვარდი გარეთ, დავუძახე მილიციონერს და მინდოდა ოქმი შემედგინა, მაგრამ მილიციონერმა ოქმი არ შეადგინა. ბევრი ვემუდარე კუპეში მყოფთ, რომ გვარი ეთქვათ, მაგრამ არ მითხრეს. ასეთი იყო ბ. რევიზორის „თავაზიანი“ მოპყრობა ჩემდამი.

რკინის გზის კონდუქტორი გრიგოლ კლდიაშვილი.

# ჩვენი ფოსტა

**აბასთუმანი.** თაგუნას. თქვენი ფელეტონის დაბეჭდვა—„როგორ გავხდი სპეკულიანტი“, შეჩერებულია, ფელეტონის მეთერთმეტე გვერდის მიღებამდე.

**თფილისი.** სინო კალანდარიშვილს. შემოიარეთ რედაქციაში, ან ტელეფონით დაელაპარაკეთ მდივანს.

# განცხადებანი

ბ ო რ ჯ ო მ შ ი

პროფ. დოქტ. მედიცინისა მ. ბ. მოხეშვილი იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის

## კერძო საავადმყოფო

ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. (24—24)

ექიმი მ. შ. მზადოვლიშვილი

ქალისა და სალოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ექიმი მ. ა. შაშრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, სქესობრივ და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ა. დ. კეკელია

ს ი ფ ი ლ ი ს ი და ვ ე ნ ე რ ი უ ლ ი სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მ ა ლ ა რ ი ი თ (ციებ-ცხ მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

ექიმი ქალი რ. მ. შიშლო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

# საქართველოს კოოპერატიული ბანკის

## საორგანიზაციო კომიტეტი

აუწყებს საქართველოს ყველა კოოპერატივებს, რომ ბანკის წესდება დაამტკიცა ბ. ფინანსთა მინისტრმა.

ბანკის ძირითადი თანხა არის **ხუთი მილიონი მანეთი**, რომელიც გაყოფილია 5000 აქციაზე. თითო აქცია ღირს 1000 მანეთი. ბანკის საქმეებში გადამწყვეტი ხმა ექნებათ არა ნაკლებ ორი აქციის პატრონთ. აქციების შეძენა შეუძლიანთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს. აქციების ღირებულების გადახდა ნაწილ-ნაწილ ხდება. პირველათ თითო აქციაზე საჭიროა გადახდა აქციის ღირებულების 30 პროც., ანუ 300 მანეთი და საორგანიზაციო ხარჯებისთვის 50 მანეთი, სულ 350 მანეთი.

საორგანიზაციო კომიტეტი მოაგონებს კოოპერატივებს, რომ საჭიროა დაჩქარება აქციების ხვედრი ფულის შემოტანისა, ვინაიდან თუ სამი თვის განმავლობაში ბანკის წესდების დამტკიცებიდან, არ მოგროვდება ერთი მესამედი ძირითადი თანხისა, ე. ი. **მილიონ ნახევარი მანეთი**, არ შეიძლება ბანკის გახსნა.

კოოპერატივებმა ფული უნდა შეიტანონ შემდეგი მისამართით: თფილისი, მოსკოვის სახალხო ბანკი, საქართველოს კოოპერატიული ბანკის სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხავად.

ცალკე კოოპერატივებს ფული შეუძლიანთ შეიტანონ სარაიონო კავშირებში და ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირშიც.

(6—1) საორგანიზაციო კომიტეტი, თფილისი, გლდანის შესახ. № 15.

# ტოგანიერის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში

თავისუფალია ორი საზოგადო საგნის მასწავლებელის ადგილი.

საჭიროა აგრეთვე უცხო ენების, ხაზვა-ხატვის, გალობის და ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავლებელნი. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პედაგოგიურ საბჭოს სახელზე 5 სექტემბრამდე.

სასწავლებლის გამგე პ. ტაბიძე.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

1914 წელს ომში გაიწვიეს რაჭის მაზრის, სოფ. სადმელის მცხოვრები

## დომენტი ასლანის ძე ჯანელიძე,

რომელიც გაგზავნილ იქნა გერმანიის ფრონტზე. მსახურობდა პირველ კავკასიის პოლკში, მერვე როტაში. სამი წელიწადია იმისი არაფერი ვიცით დამწუხრებულმა მშობლებმა. უმორჩილესად გთხოვთ ყველას, უმეტესად გერმანიიდან ჩამოსულ ტყვეებს, თუ რამე იცით ავი, ან კარგი დომენტი ჯანელიძის შესახებ შემატყობინოთ შემდეგი მისამართით: თფილისი, ქართული კლუბი, სასახლის ქუჩა, № 5, აბესალომ ასლანის ძე ჯანელიძე. ამბის მომტანი მიიღებს გასამრჯელოს. (2—2)

# მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ

## ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის საგანგებოთ დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თფილისი, გრიბოედოვის ქუჩ. № 6 და კრუზენშტერნის № 8. ტელ. № 11—45. საწყობი ქვანახშირისა: დიდუბე, ფოთის ქ., ქალაქის შიგნით საწყობის ეზოში.

(5—2) ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო.